11344-11-3-202306081058

N 11344 08.06.2023

სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს
ბუღალტრული აღრიცხვა-ანგარიშგების სამმართველოს
უფროსს ბატონ რამაზ ციცქიშვილს

შესყიდვების სამმართველოს უფროსის
ნინო გოგიას

სამსახურებრივი ბარათი

ბატონო რამაზ,
მიმდინარე წლის 7 ივნისის №11299 სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე გაცნობებთ, რომ სააგენტოს ბალანსზე რიცხულ **ორ ავტომანქანას:**
1. სახელმწიფო ნომერი: **JJ-010-QQ**, ტექ-პასპორტის ნომერი: AQA0160179, MITSUBISHI L-200
2. სახელმწიფო ნომერი: **YY-010-TT**, ტექ-პასპორტის ნომერი: AQA0164177, MITSUBISHI L-200
ესაჭიროება ქ. თბილისში პარკირების სისტემაში გააქტიურების მომსახურების შესყიდვა. ,,ქალაქ თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში სატრანსპორტო საშუალებების პარკირების რეგულირების წესისა და პარკირების საფასურის დადგენის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 27 დეკემბრის №33-99 დადგენილების მე-2 მუხლის "გ" ქვეპუნქტის შესაბამისად 1 (ერთი) წლიანი პარკირების მომსახურების გადასახადი ერთი ერთეული ავტომანქანისათვის შეადგენს 50 ლარს (გადახდის მომენტიდან, შემდეგი წლის შესაბამის კალენდარულ დღემდე). ვინაიდან, ზემოაღნიშნული სამსახურებრივი ბარათით მოთხოვნილი მომსახურების შესყიდვა რეგულირდება ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 101 მუხლის მე-3 პუნქტის ,,ზ“ ქვეპუნქტისა და ამავე კანონის 21- ემუხლის 11 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, გთხოვთ, უზრუნველყოთ პარკირების მომსახურების ღირებულების ანაზღაურება **100 (ასი)** ლარის ოდენობით შპს ,,თბილისის სატრანსპორტო კომპანიისთვის" (ს/კ 202886788).
დაფინანსების წყარო: საკუთარი შემოსავლები (პროგრამული კოდი: 310901).
CPV კოდი - 63700000
დანიშნულებაში უნდა მიეთითოს ავტომანქანების მარკა/მოდელი, სახ. ნომერი, ტექ. პასპორტის ნომერი და გადახდის მიზნობრიობა.
დანართი: მოხსენებითი ბარათი
პატივისცემით,

ნინო გოგია

სამმართველოს უფროსი